სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

31/12/2024

MES 7 24 0001674891

ბრძანება

საჰაერო ხომალდის მართვის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-11 და მე-14 პუნქტების საფუძველზე და ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2024 წლის 17 დეკემბრის №1622915 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჰაერო ხომალდის მართვის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით" გათვალისწინებული საჰაერო ხომალდის მართვის (კოდი 1041.1.2) დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 1 წლის ვადაში, გარდა ამ ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. თუ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულისაჰაერო ხომალდის მართვის (კოდი 1041.1.2) დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო პროგრამამ/პროგრამებმა ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში უნდა გაიაროს აკრედიტაცია, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენისას საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელთან.

4. თუ ცენტრს სააკრედიტაციო განაცხადი წარედგინება ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საჰაერო ხომალდის მართვის (კოდი 1041.1.2) დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისად შემუშავებული ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების თაობაზე, სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა/პროგრამები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დარგობრივ მახასიათებელთან.
5. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
6. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა